ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს.

ქ. თბილისის ნუცუბიძის ქ. №127-ის მაცხოვრებელთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ჩვენ, არაერთხელ მივმართეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურს ჩვენი საცხოვრებელი გარემო პირობების მიმართ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. საუბარია სამშენებლო კომპანია „სვეტი ნუცუბიძის" მიერ წარმოებული მეგაკომპლექსის მშენებლობაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენი და თვით მეგაკომპლექსის მოსახლეობის სიცოცხლეს. დაუშვებელია, მხოლოდ ამ ერთადერთი გზის (ჩვენს საცხოვრებელთან მისასვლელი) გამოყენება მეგაკომპლექსისათვის. წარმოგიდგენიათ რამდენმა მანქანამ უნდა იმოძრაოს ამ პატარა დასახლებაში?! ეს არის მჭიდროდ დასახლებული ბავშვებით სავსე საცხოვრებელი ზონა – წარმოუდგენელია! თან იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი სახლები (17 და 19 სართულიანი)სრულიად კეტავენ ჰაერის განიავების საშუალებას, კეტავენ სივრცეს და მოხდება გამონაბოლქვისა და მომწამვლელი ნივთიერების დაგუბება! ჰაერის დაბინძურება გადააჭარბებს ზღვრულ სიდიდეს! შიდაკვარტლურ შესასვლელში 10-12 წლის შემდეგ რა მდგომარეობა იქნება ვარდისფერი-ზღაპრული დაპირებებით – ეს მხოლოდ დემაგოგიაა (მათ მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო დასკვნა). ვინაიდან დღეს მოჭრილი ზრდასრული ხე – ეს ჩვენი, ამჟამინდელი მოქალაქეებისთვის არის ჟანგბადის გადაკეტვა, ხოლო დაპირებული კომპენსაციის სახით, ნერგების დარგვა – ეს მომავლის საქმეა. თუ მივაღწიეთ მომავლამდე!!! აღნიშნული მეგაკომპლექსის მშენებლობა გამოიწვევს ნუცუბიძის ქუჩის დასაცობებას, მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის კიდევ მეტად დეკომპენსაციას და ისედაც არაადაპტირებული ინფრასტრუქტურის (გაზგაყვანილობის, წყალგაყვანილობის,კანალიზაციის) დისფუნქციას. გარდა ამისა, ჩვენი ამოსასვლელი გზით ნუცუბიძის ქუჩიდან სარგებლობს: ნუცუბიძის ქუჩიდან ამოსასვლელში განთავსებული ორი დიდი მარკეტი (ნიკორა, ევროპროდუქტი); ამავე შენობაში განთავსებული უამრავი ოფისი; მშენებარე საცხოვრებელი სახლი – მშენებლობას აწარმოებს „ბინადარი"; კიდევ ერთი ნაკვეთი, სადაც ჯარეთს აგროვებენ; ჩვენი ნაკვეთი, სადაც განთავსებული ორი ბლოკი: ა და ბ – 8 სადარბაზოთი. ეს გზა უკვე უკიდურესად გადატვირთულია და ქმნის საცობებს თვით ნუცუბიძის ქუჩაზეც კი. კიდევ დამატებით დატვირთვას ვეღარ გაუძლებს და საგზაო უსაფრთხოების რისკი გაიზრდება როგორც მანქანით, ასევე ფეხითმოსიარულეთათვის. გაითვალისწინეთ! პრობლემები შეექმნება თვით ნუცუბიძის ქუჩის გამტარიანობას!!! ჩვენს საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზა, რომელიც ნუცუბიძის ქუჩიდან

[illegible]

ამოდის შეკეთდა და გალამაზდა ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ. 2014 წელს (ჩვენივე მოთხოვნით) დააგეს ასფალტის საფარი გზაზე და შემოავლეს რკინის ღობე, დაამონტაჟეს გარე განათების ბოძები. ღობე აუცილებელი იყო, ვინაიდან მოხდა რამდენიმე უბედური შემთხვევა ეზოში ბავშვების თამაშის დროს. ხოლო, რაც შეეხება ასფალტის საფარს – უკიდურესად მძიმე პირობებში გვიწევდა ცხოვრება, ვინაიდან ჩვენი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო კომპანიამ – შპს „კ.ი.დ."-მა ბოლომდე არ დაასრულა სამშენებლო სამუშაოები და გზაც მიგვიტოვა ორღობეებითა და ტალახებით სავსე. მაცხოვრებლებმა შეძლებისდაგვარად მოვაწყეთ ეზო-ბაღნარი: დავრგეთ ხეები, ყვავილები, ბაღი განსაკუთრებული დიზაინით არის მოწყობილი. შევქმენით ისეთი გარემო, რომ მეზობელი სახლებიდანაც კი მოდიან ადამიანები, რათა დატკბნენ ჩვენი ეზოს სანახაობით. შეგახსენებთ, რომ ადამიანი ქმნის გარემოს მისივე სულის შესაბამისად. ნუ ჩაგვიხშობთ სულიერ სამყაროს და ნუ გაგვინადგურებთ ასეთ ლამაზ გარემოს. დაგვეხმარეთ დავიცვათ ჩვენი ბაღნარი და თქვენს მიერ მოწესრიგებული გზა, რკინის ღობე. ყოველივე აქედან გამომდინარე, **გარდაუვალია ალტერნატიული გზის გაკეთება აღნიშნულ ნაკვეთზე 25/62 – ძოწენიძისა და ნუცუბიძის №125-ის მხრიდან.** ვინაიდან, მძიმე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება ჩვენი ამოსასვლელი გზით, დააზიანებს და გაავერანებს ჩვენს – მაცხოვრებელთა და მუნიციპალიტეტის მიერ - ერთობლივად გაკეთებულ გარე სამყაროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით 01.14.02.025.062 მიწის ნაკვეთზე სერვიტუტით დატვირთული გზა ემიჯნება 25/41 მიწის ნაკვეთს, მათ კი ეს სერვიტუტით დატვირთული გზა გადატანილი აქვთ სხვა ადგილზე – **25/41 მიწის ნაკვეთის მაცხობრებელთა თანხმობის გარეშე დაუშვებელია გზის ადგილის მონაცვლეობა!!! როგორ წარმოგიდგენიათ ვისარგებლოთ ჩვენს საცხოვრებელთან მისასვლელი ამ ერთადერთი გზით, კერძო პირის ავტოპარკინგის გავლით?!** გიგზავნით საკადასტრო გეგმას – 01.14.02.025.062 მომზადების თარიღი – 26.10.2016. გასათვალისწინებელია,რომ ყოველმიზეზგარეშე მოეწყოს ტროტუარები გზის ორივე მხარეს,ასევე – პანდუსები შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის!!!

აქვე ავღნიშნავთ, რომ ამა წლის 16 მარტს ჩატარდა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" სხდომა №11, სადაც დავესწარით და გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია. გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე აღნიშნულ პროექტს ეთქვა უარი შემდეგი რეკომენდაციებით: „მოთხოვნილი პარამეტრები გადაჭარბებულია, ინტენსივობის ზრდა გამოიწვევს სატრანსპორტო პრობლემებს. დასაბუთებას

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.14.02.025.062**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882016585134**	ფართობი:	**13474 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**26/10/2016**	ვალდებულების ფართობი :	**1047 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



57
21806/2023
22, 24, 25, 28

მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების რუკა

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	კ1	კ2	კ3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	1.0	17.5	[illegible]	14	[illegible]	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.7	5.6	0.8	14	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.5	5.5	[illegible]	13	[illegible]	[illegible]	7
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.8	12.8	0.8	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.7	5.6	[illegible]	11	1231.5	[illegible]	[illegible]
6	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.4	2.5	0.2	[illegible]	1363.5	[illegible]	34
7	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.5	7.5	0.4	17	[illegible]	[illegible]	[illegible]
8	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.7	7.0	0.2	12	1288.5	[illegible]	[illegible]
9	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.0	0.6	0.1	0	3356.0	[illegible]	[illegible]
10	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	0.1	[illegible]	0.1	3	2559.6	[illegible]	[illegible]



ბინოვების განთავსების არეალი

მიწისქვეშა ავტოსადგომი

გადახურული ავტოსადგომი

ღია ავტოსადგომი

1 ნაკვეთის პირობითი ნომერი

ნაკვეთის საზღვარი

შ.პ.ს. კიდ არქიტექტურა

დირექტორი	ნ. მაკიშვილი
არქ. ავტორი	თ. კლდიაშვილი
შემსრულებელი	ს. მგალობლიშვილი
შემოწმება	ლ. კობელია
მასშტაბი 1:1000	
ფორმატი A3	13 / 24

საჭიროებს მისასვლელი გზა"(11.04.2017 №07/22-13 არქიტექტურის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ბ-ნ ზვიად ელიზბარაშვილის ხელმოწერით) ხოლო შემდგომში 13.04.17-ში ისევ მომართა არქიტექტურის სამსახურს მოქალაქე შალვა გელაშვილმა იგივე პროექტის შესათანხმებლად. აღნიშნული საკითხის განხილვაზე დაგვიბარეს ჩვენც, რომელიც გაიმართა ამა წლის 20 აპრილს. სხდომას დაესწრო ქ. თბილისის მერი და მერის მოადგილე ქ-ი ნ. ქიტიაშვილი. სხდომას ესწრებოდნენ არქიტექტორები - საბჭოს წევრები, „ნუცუბიძე სვეტის" დირექტორი - გ. კამლაძე, შ.პ.ს.„ბი.აი.ჯი."-ს წარმომადგენლები და მათი ბინათმესაკუთრენი და ჩვენ-ნუცუბიძე №127-ის ბინათმესაკუთრეები. სამწუხაროდ, „ბი.აი.ჯი"-ის ბინათმესაკუთრეთა აღელვება მომართული იყო ჩვენს მიმართ, რაც უსამართლო და უსაფუძვლოა, ვინაიდან ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით მათი კორპუსის მშენებლობის დასრულებას და მათ დაკმაყოფილებას, პირიქით მხარს ვუჭერთ ამ კეთილშობილურ საქმეს (ისინი შეცდომაში არიან შეყვანილი). ჩვენ ვეწინააღმდეგებით მშენებლობის კოეფიციენტის K2-ის გაზრდას. ჰქონდათ 3, ხოლო ახლა ითხოვენ 4,3-ს. აპირებენ 17 და 19 სართულიანი შენობების დადგმას. <u>ხომ შეიძლება ააშენონ კანონით კუთვნილი სართულიანი შენობები, მით უმეტეს, რომ ზონა 6-ის კოეფიციენტი K2 კანონით 2,5-ის ტოლია.</u>

<u>კატეგორიულად აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის 13 აპრილს შემოტანილ პროექტში, არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები – გადაჭარბებულ პარამეტრებზე, გზის სატრანსპორტო გამტარუნარიანობის პრობლემებზე, მისასვლელი გზის დასაბუთებაზე – არ იყო გათვალისწინებული და პრობლემები დარჩა აღმოუფხვრელი.</u>

ამასთანავე გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „სვეტი ნუცუბუძე" არის შ.პ.ს. „კ.ი.დ."-ის სამართალმემკვიდრე. (იგივე საინდიფიკაციო კოდით 204487910) შ.პ.ს. „კიდ"-ის დირექტორი ბ-ი ნ. შავიშვილი გახლავთ შ.პ.ს.„სვეტი ნუცუბიძის" ერთერთი მესაკუთრე. გთხოვთ, დაავალოთ ამ სამშენებლო კომპანიას ხარვეზების აღმოფხვრა ნუცუბიძის ქუჩა №127-ში, რათა ბოლოსდაბოლოს მოხდეს ჩვენი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში ჩაბარება.

დაუჯერებელია, სიტყვა მშენებლობა როგორ შეიძლება გულისხმობდეს ადამიანების სიცოცხლის ხელყოფას, მაგრამ სწორედაც ეს „აღმშენებლობითი" პროექტი არის მრავალწლიანი, სიცოცხლისათვის საშიში „მშენებლობის" ნებართვა, რომელიც გულისხმობს სარკოფაგებისა და სამარხების შექმნას და

საცხოვრებელი გარემო პირობების სრულ ლიკვიდაციას. გთხოვთ, საკითხის ტრაგიკულობის შესასწავლად ადგილზე გაეცნოთ პრობლემას და დაგვეხმაროთ მოსახლეობას, რათა თავი დავიცვათ თავსმოხვეული მშენებლობის სახელით განადგურებისაგან.

ჩვენი მხრიდან დანახული გამოსავალი მდგომარეობს შემდეგში:

1. აღნიშნულ მეგაკომპლექსს გაუკეთდეს მისასვლელი გზა ძოწენიძისა და ნუცუბიძის №125-ის მხრიდან! (მშენებლობის დაწყებამდე)
2. სერვიტუტით დატვირთული გზის ადგილმონაცვლეობა ჩვენი ნებართვის გარეშე, სახელმიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევაა!
3. აშენდეს კანონით გათვალისწინებული K2 კოეფიციენტის (2.5) შესაბამისი სართულიანობის სახლები!
4. შ.პ.ს.„კიდ"-ის სამართალმემკვიდრეს დაეკისროს ჩვენი – დაზარალებული მოსახლეობის, ნუცუბიძე №127-ის სახლების ექსპლუატაციაში ჩაბარება!

P.S. გთხოვთ, მიიღოთ ხელმოწერები და პასპორტის მონაცემები მოქალაქეთა.
პატივისცემით,

[illegible] - 01030010999 - [signature]
[illegible] - 01009005047 - [signature]
[illegible] 62001019533 [signature]
[illegible] 62001019532 [signature]
[illegible] 01009003966 [signature]
[illegible] 0100900 3965 [signature]
[illegible] 01017039688 [signature]
[illegible] 01025004587 [signature]
[illegible] 01025004588 [signature]
[illegible] 61004020160 [signature]
[illegible] 01011040322 [signature]

ნ. ბერიძე	01036001715
[illegible]	01017008302
[illegible]	01001009365
[illegible]	01005002499
[illegible] (266)	01006007281
[illegible]	01024001229
[illegible]	01010014016
[illegible]	01030001484
[illegible]	59001121308
[illegible]	09001017863
[illegible]	09001009224
[illegible]	01017013549
[illegible]	01001025032
[illegible]	01024086294
[illegible]	01401121060
[illegible]	62013002403
[illegible]	62013002402
[illegible]	60001063317
[illegible]	01010010677
[illegible]	62003002822
[illegible]	62003000366
[illegible]	62003003630

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის კეთილმოწყობის საქალაქო
სამსახური

KA010144734658516

№18/206704 **08 / აგვისტო / 2016 წ.**

მოქ. გრიგოლ ენდელაძეს
მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №127 ბინა 4

ბ-ნო გრიგოლ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი (№ 249891/12 12.07.2016) განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ნუცუბიძის № 127-ის მიმდებარედ რელიეფის სირთულის და წითელ ხაზებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გეოლოგიური დასკვნის გაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე რელიეფის სირთულე ვიზუალური დათვალიერების შედეგადაც ირკვევა, წითელ ხაზებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის, ხოლო რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, რომ თქვენი საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარე ეზო არ იყოს გამოყენებული. სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტოტრანსპორტის მოძრაობისათვის, მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ეთანხმება თქვენს მოთხოვნას და აფიქსირებს საკუთარ პოზიციას რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია მშენებლობის პროცესში აღნიშნული ეზოს მისასვლელ გზად გამოყენება.

პატივისცემით,

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი

11.04.17 № 07/22-13
30.12.16 № 452774

თბილისის არქიტექტურა

მოქ. გიორგი გორდელაძეს
მის.: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N127, N120
ტელ.: 568 51 45 45

ბატონო გიორგი,

თქვენი 2017 წლის 03 იანვრის N07/22-13 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქ. თბილისში ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობზე, III მიკრო რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.14.02.025.063, 01.14.02.025.062)განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი მოქალაქე შალვა გელაშვილის 2017 წლის 15 მარტის NAR1486363 ელექტრონული განცხადების საფუძველზე განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2017 წლის 16 მარტის N11 სხდომაზე და ეთქვა უარი შემდეგი რეკომენდაციებით: „მოთხოვნილი პარამეტრები გადაჭარბებულია, ინტენსივობის ზრდა გამოიწვევს სატრანსპორტო პრობლემებს. დასაბუთებას საჭიროებს მისასვლელი გზა", „განვითარდეს არსებული პარამეტრებით", აღნიშნული ოქმი შეგიძლიათ იხილოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ გვერდზე http://tas.ge/ . ასევე აღსანიშნავია, რომ თქვენი წინამდებარე განცხადების საფუძველზე, სამსახურის მოწვევით თქვენც ესწრებოდით საკითხის განხილვას.

პატივისცემით,

არქიტექტურის სამსახურის
უფროსის პირველი მოადგილე ზურაბ ელიზბარაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 შ. ბარნოვის
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 82
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge